



1967

Մ

ՈՂԻՆԱՆԻՆՆԵ

ՆՈՒՆՔԱՆՈՒՅԻՆ

ՈՂԻՆԱՆԻՆՆԵ



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ თ ა მ ბ ე

№ 1 (38)

10.565

19 თბილისი 67



რედაქტორი — შ. აფხაიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი
ნ. გურაბანიძე, ო. ევაძე, დ. მჭედლოძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. ამ საგზაფხულო სათეატრო დღესასწაულის მაღალი ჰუმანისტური დედაარსი თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის 1961 წელს ვენაში ჩატარებულ მეცხრე კონგრესის მიერ არის გამოთქმული: თეატრი ხალხთა ურთიერთგაგების, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების გზა და ხილია...

ქართული სახიობა ოდითვე ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და მშვიდობის ნებადგებელი იყო. აკი მეათე საუკუნის დიდი ქართველი შემოქმედი, ეპოპოთამთხვეელი პოეტი და მუსიკოსი მიქევი მილრეკლი დალაღებდა: „მოჰმადლე ძლეევი მტერთა ურწმუნოთა წინააღმდეგ მთაი და წარუშართე სახიერ, აწ ფუხთა ჩუნეთა გზასა მშვიდობისასა“.

მშვიდობის გზაზე, ხალხთა ურთიერთგაგების გზასა და ხილზე პოულობდა ხელოვნება თავის დიდ შთაგონებას, დიადი იდეებისათვის ბოძოლის ნიჭსა და უნარს, ადამიანის სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის...

და ამ დღესასწაულს, როცა თეატრის საერთაშორისო დღეს ვზეიმობთ, ჩვენი სურვილია, რომ ქართულმა სასცენო ხელოვნებამ ღირსეულად გაართვას თავი თავის მოწოდებას: — ამრავლოს ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის მონაპოვარი, უნერგავდეს მაცურებელს მოქალაქეობრივ, მაღალწინებრივ თვისებებს, მტკიცე იდეურობას, სასარგებლო შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას, გარჯასა და თავდადებას, ხელს უწყობდეს მონარდი თაობის განვითარებას.

დაე ჩვენი თეატრი კვლავც და ყოველთვის იყოს ჩვენი ხალხის მისწრაფებათა, მისი აზრის და გრძნობის სიწრფელით და სიმართლით, სილაშხილთა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურების გამომსახველი.

სათეატრო დღეობის აღნიშვნისას არ შეიძლება არ ვუსურვოთ ჩვენს თეატრებს, რომ მათ წარმატებით დააგვირგვინონ მზადება რქტომბრის რევილუციის 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. გვჯერა, რომ ჩვენი თეატრები განახორციელებენ ისეთ წარ-

მოდგენებს, რომლებიც მაღალი იდეურობით და შესრულებით სრულქმნილი იქნებიან.

ჩვენი თეატრები წარმატებას მიაღწევენ იმ შემთხვევაში, თუ თავგამოდებით და გულისხმიერებით განაგრძობენ მშობლიური დრამატურგიის მხარდაჭერას, მისთვის შეუწელებელ მზრუნველობას, ჩვენს მწერლებსაც გულში ამოჭრილი უნდა ჰქონდეთ ის ჭეშმარიტება, რომ ეროვნულ თეატრს ქმნის, მას მსახიობებს უზრდის და ავაჟაკებს ეროვნული დრამატურგია.

ხელოვნების წინსვლა და განვითარება დიდად გაძნელებოდა, რომ წარსულის გამოცდილების ათვისება არ ყოფილიყო. ამიტომაც თეატრებს მართებთ გზა არ აუქციონ სცენის დიდ შემოქმედთა ნაკვალევს. ჩვენი სურვილია, რომ თეატრი შორს და ფართოდ იხედებოდეს, არ იყოს შეზღუდული და კარჩაკეტილი. დაე ჩვენი თეატრი მოძმე ხალხთა და მსოფლიოს მოწინავე თეატრალურ მიღწევათა გამოყენებით ამდიდრებდეს თავის ხელოვნებას.

ამ მხრივ ცოტა რამ როდი კეთდება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები ეცნობიან ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევებს და ჩვენი მაცურებლებიც გულთბილად იღებენ უცხოეთიდან ჩვენს ქვეყანაში საეასტროლოდ ჩამოსულ თეატრალურ კოლექტივებს და სცენის ცალკეულ ოსტატებს. ამ დღეებში რუსთაველის თეატრის სცენაზე თავის წარმოდგენები უჩვენა ჟან ვილარის ფრანგულმა დრამატულმა თეატრმა.

ჩვენმა მაცურებლებმა ნახეს ბერძნული თეატრი ჩვენი დროის სახელოვანი ტრაგიკოსი მსახიობი-ქალის ასპასია პაპატანასის მონაწილეობით. ეს კეთილმყოფელი ურთიერთობა დღითიდღე ვითარდება და იზრდება. ვუსურვოთ ჩვენს თეატრებს, რომ ცხოვრებისეულისა და თეატრალურის, წარსულის გამოცდილებისა და ახლის ძიებათა შერწყმით ამაღლებდეს თავის ხელოვნებას.

პარტია მოგვიწოდებს განსაკუთრებული ყურადღება დაეუთმოთ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას. სასცენო ხელოვნების მონაპოვარი სახალხოდ მისაწვდომი უნდა

იყოს. განა დასანანებელი არ არის, რომ საქართველოს მთელ მთიანეთში (ყაზბეგში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგანაც) მონატრებული არიან კონცერტებსა და წარმოდგენებს სცენის ოსტატთა მონაწილეობით. თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა უწინამძღვროს სასცენო ხელოვნების მუშაკთა თავგამოდებას, რათა მხატვრული საზრდო არ მოვაკლოთ მთიანეთს, შორეულ დაბებსა და სოფლებს.

უფრო მეტი ყურადღება, გულისყური და მზრუნველობა გვმართებს საწახლო თეატრების მოძრაობისადმი. ამ დღეებში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმატებით მიმდინარეობს სახალხო თეატრების დათვალიერება. აუცილებელია შევქმნათ სახალხო თეატრების ერთიანი ცენტრი — რესპუბლიკური სამხატვრო საბჭო, რომელიც გაერთიანებს და სწორად წარმართავს საზოგადოებრივ ძალღონეს თეატრალური თვითმოქმედების ზრდისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

და ამ სათეატრო დღეობის აღნიშვნისას ერთი საკითხიც უნდა დავაყენოთ. სათეატრო უმაღლეს განათლებას უმეტეს წილად თბილისელები ეტანებიან. თეატრალურ ინსტიტუტში იშვიათად მოდიან ახალგაზრდები საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. ამით, რასაკვირველია, სასცენო ნიჭიერებით დაჯილდოებულთა შერჩევა დასანანებლად იზღუდება. ყოველივე უნდა ვიღონოთ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში საქართველოს ყველა ქალაქიდან და სოფლიდან მოვიზიდოთ.

სასცენო მონაცემებით გამორჩეული ახალგაზრდები. ამით დიდად დავებმარებით სცენისათვის ღირსეული მხატვრული ცვლის აღზრდის საქმეს და სამსახურს გავუწევთ თეატრის მზეგერძელობას. და ერთი საკითხიც: ცნობილია, რომ ჩვენს ხალხს უყვარს დღეობა-დღესასწაული, მისი ნაირფერობა, მისი წარმატაკუ სიხალისე. მაშ ასე უფერულად, ასე უხალისოდ რად ვაწყობთ დღესასწაულებს? დაე ჩვენმა რეჟისორებმა, შემოქმედმა მუშაკებმა, მხატვრებმა და მუსიკოსებმა თავიანთი ნიჭით და ოსტატობით ჩვენს დღესასწაულებს ნამდვილი საზეიმო დღეობის ხასიათი მოუბოვონ. ეს მათ უნდა მოეთხოვოთ და ამის შესაძლებლობაც მიეცეთ.

* * *

საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო ჩაატარა ტელევიზიაში. რუსთაველის თეატრის დარბაზიდან სიტყვები წარმოსთქმეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპ. სახ. არტ. დ. ანთაძემ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ვ. ჭელიძემ, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა ნ. გურუშიძემ, რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ ნ. ურუშაძემ და სხვებმა. ნაჩვენები იყო ნაწყვეტი რუსთაველის თეატრის ახალ სპექტაკლიდან „ხოგაის მინდია“.

14 იანვარი გადაიქცა ქართული თეატრის დღედ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს თარიღი როდია ქართული თეატრის არსებობის საწყისი. ჩვენი თეატრის ისტორიის ფესვები ბევრად უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ძველი ხალხური სანახაობანი: ბერიკაობა, ყვენობა და სხვა. ამაში გვარწმუნებს აგრეთვე ძუნწად აქა-იქ შემონახული წერილობითი საბუთები. ჩვენი თეატრის ისტორიის შესახებ.

ისიც ვიცით, რომ ერეკლე მეფის სასახლესთან არსებობდა კარის თეატრი, სადაც იდგებოდა როგორც მითოლოგიური შინაარსის, ისე პატრიოტული და სატრფიალო სიუჟეტებზე აგებული პიესები. ისტორიულად დადასტურებულია, რომ ამ თეატრის მეთაური იყო მსახიობი დავით მაჩაბელი, რომელიც თავის დასთან ერთად უთანასწორო და თავგანწირულ ბრძოლაში დაიღუპა კრწანისის ომის დროს.

ჩვენს ქართულ თეატრალურ კულტურაზე მტკიცებულებენ აგრეთვე „ქვათა მატანანი“ — ძველი ძეგლები, თუნდაც უფლისციხეში აღმოჩენილი თეატრის ნაგებობა.

მიუხედავად ამისა, ისტორიულმა გარდუვალობამ წარმოშვა ქართული თეატრის კვლავ აღორძინების აუცილებლობა. მის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებდა თეატრალურ მოღვაწეთა უანგარო თავდადება საყვარელი საქმიანათვის, ხალხის სიყვარული და ხელშეწყობა, ჩვენი ერის მესვეურთა დაუღალავი ზრუნვა მშობლიური კულტურის წინსვლისათვის. ასეთთა შორის უპირველეს ყოვლისა იყვნენ ილია და აკაკი. მათ, სხვა დიდ საქმეებთან ერთად, თავს იდევს ქართული თეატრის ბედობა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მშობლიური დრამატურგიის შექმნას. მსახიობების აღზრდას, ქართველ საზოგადოებაში თეატრისადმი ინტერესის გაღვიძებას.

რეკლუციამდელი ქართული თეატრის ცხოვრება მეტად რთულ და მძიმე პირობებში ვითარდებოდა. თეატრს არავითარი საარსებო სახსარი არ ჰქონდა, გარდა მცირეოდენი საზოგადოებრივი დახმარებისა. თეატრზე ზრუნვის

მიზნით ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის განმტკიცებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების საქმეში.

ქართული თეატრის ქემმარტივი და ნამდვილი აღორძინება იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, როდესაც თეატრისათვის ზრუნვა სახელმწიფომ მთლიანად აიღო თავის თავზე.

1922 წლიდან ჩვენს თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებლად და რეჟორმატორად. მარჯანიშვილმა დიდ სიმაღლეზე აიყვანა ქართული თეატრის სცენური კულტურა. მან აღუზარდა ჩვენს თეატრს ნიჭიერი პლეადა ბრწყინვალე აქტიორებისა, რეჟისორებისა, მხატვრებისა, დრამატურგებისა. მის მაღალ ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართულმა თეატრმა მოიპოვა საერთო აღიარება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მისი საზღვრების მიღმაც.

1926 წლიდან რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა მარჯანიშვილის მიერ აღზრდილი, შემდეგში დიდი ხელოვანი-რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელი. აგრძელებდა რა თავისი მასწავლებლის ტრადიციებს, სანდრო ახმეტელმა საბოლოოდ განამტკიცა რომანტიკულ-ჰეროიკული სტილი რუსთაველის თეატრის შემოქმედებაში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით მოღვაწეობს ოცზე მეტი თეატრი. ფართოდ არის გაშლილი ქსელი სახალხო თეატრებისა, საქალაქო და რაიონული კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბებისა.

ჩვენი თეატრის წარმატების საქმეს დიდად უწყობს ხელს როგორც კლასიკური, ისე მშობლიური დრამატურგია.

სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს თეატრებში მოღვაწეობენ უმაღლესი პროფესიული განათლებით აღჭურვილი ახალგაზრდები, რომელთა აღზრდა-მომზადების

საქმეს აქტიურად ხელმძღვანელობს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი.

და თუ 1914 წლის სტატისტიკური მონაცემებით ქართულ თეატრში მოღვაწეობდა მხოლოდ 115 კაცი. დღეისათვის საქართველოში ირიცხება ხელოვნების 9.000-ზე მეტი მუშაკი, აქედან ჩვენს სახელმწიფო თეატრებში მოღვაწეობს 2.700-მდე შემოქმედი.

ქართველი მსახიობი ფართოდ არის ჩაბმული სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხელოვნების მრავალი ჩვენი მუშაკი არჩეულია დეპუტატად საკავშირო და რესპუბლიკურ უმაღლეს და ადგილობრივ საბჭოებში. პარტიისა და ხელისუფლების ამ დიდ ნდობას ჩვენი ხელოვნების მუშაკები ღირსეულად ამართლებენ.

წარმატებითი მუშაობისათვის ისინი დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედალებით. ლენინური და სახელმწიფო პრემიებით. ჩვენი თეატრის მოღვაწეთა ოჯახს ამჟამად 17 საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, 180 საქართველოს სახალხო არტისტი, 80 ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

გასულ წელს წარმატებით იმუშავეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრებმა. მოსკოვის პრესა და საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გასტროლებს მოსკოვში. ორივე თეატრმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები აგრეთვე ერევანში. საგულისხმოა სოხუმის ქართული თეატრის გასტროლებიც ოდესაში.

დიდი აღმავლობით ემზადება ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღნიშვნისათვის.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ, როგორც

ყოველთვის, საქართველოს ხელოვნება და, კერძოდ, თეატრი ერთ-ერთ საბაბით ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებითს ცხოვრებაში, ქართული თეატრი ღირსეულად წარსდგება თავისი ახალი მიღწევებითა და გამარჯვებებით ჩვენი ერის და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

* * *
საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 14 იანვარს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწვეს ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპ. სახ. არტისტმა დოდო ანთაძემ.

სიტყვები წარმოთქვა: ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა დ. ჯანელიძემ, რესპ. სახ. არტისტმა არ. ჩხარტიშვილმა, სსრკ სახ. არტისტმა აკ. ვასაძემ, რესპ. სახ. არტისტმა ი. კობალაძემ, ხელოვნების დამს. მოღვაწემ ლ. იოსელიანმა, რეჟისორმა ა. ქუთათელაძემ, თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ და სხვ.

საკონცერტო განყოფილებაში ნაჩვენები იყო ნაწყვეტები საქართველოს სხვადასხვა თეატრების სპექტაკლებიდან: „ვეფხისტყაოსანი“ (რუსთაველის თეატრი), „კოლხეთის ციკაური“ (ქუთაისის თეატრი) „გულადი ჯარისკაცი შვეიცი“ (სოხუმის თეატრი), „ბებერი მეზურნეები“ — (გორის თეატრი), „მინდია“ (ბათუმის თეატრი).

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი ასეთივე საღამო მოეწყო ტელევიზიაში.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, თეატრმცოდნე ნადეჟდა
შალუტაშვილმა მიიღო პირადი ბარათი ცნობილ უკრაინელ
მწერალ ალექსანდრე კორნეიჩუკისგან. ვაჟაფხვნავთ ტიქსტს:

ძვირფასო ნადეჟდა ნიკოლაევნა!

თქვენ არც კი წარმოგიდგენიათ, როგორ გამახარეთ თქვენი წიგნით „დიდი მეგობრობის ფურცლები“. წაგიკითხე დიდი ინტერესითა და ყურადღებით, და კიდევ იმასაც თუ მივხედებთ მხედველობაში, რომ ვკითხულობდი ავადმყოფობის დროს, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენმა წიგნმა უფრო მეტად მიშველა ვიდრე წამლებმა.

დიდი, დიდი მადლობა თქვენი შესანიშნავი შრომისათვის, რომელიც შევა უკრაინული და ქართული ხელოვნების ისტორიის ოქროს ფონდში. ბევრ ადგილას თქვენმა წიგნმა ცრემლებამდე ამაღლევა. რა ახლობელი და ძვირფასია ჩვენი გულებისათვის უკრაინულ და

ქართულ ლიტერატურისა და თეატრის მოღვაწეთა მეგობრული შეხვედრები. თქვენ კეთილშობილი, დიდი, ლამაზი საქმე დაავირო გვინეთ, ძვირფასო ნადეჟდა ნიკოლაევნა! მიიღეთ ჩემი მოკრძალებული სალამი, დიდი მადლობა თქვენი შრომისათვის, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხებისა და კულტურის მეგობრობას. მაგრად გართმევუ ხელს და მთელი გულით გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს ჯანმრთელობას და დიდ ბედნიერებას.

თქვენი ალექსანდრე კორნეიჩუკი
12/1-67 წ.
კიევი

თბილისის რუსთაველის სახელობის სახელ-
მწიფო აკადემიური თეატრის გასტროლუგი
მოსკოვში ამჯერად დაკავშირებული იყო შოთა
რუსთაველის იუბილესთან. მოსკოვის კრემლის
თეატრმა მიიწვია ქართული თეატრი, რომე-
ლიც ატარებს დიდი მწერლის სახელს. ამ გა-
რემობამ, რა თქმა უნდა, განსაზღვრა ძირი-
თადად საგასტროლო რეპერტუარი. მოსკოვის
მაყურებელს რუსთაველის თეატრმა უჩვენა 8
სპექტაკლი. აქედან 6 ქართული, კლასიკური
და თანამედროვე ნაწარმოებები სხვადასხვა
ჟანრისა. და ორი პიესა უცხოური ავტორებისა,
კლასიკა და თანამედროვეობა.

გასტროლების დამთავრების შემდეგ 14
დეკემბერს სრულიად რუსეთის თეატრალური
საზოგადოების დარბაზში მოეწყო საგასტრო-
ლო სპექტაკლების ტრადიციული განხილვა.
ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხე-
ლოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფე-
სორმა პ. მარკოვმა მიულოცა რუსთაველელებს
გასტროლების წარმატებით დამთავრება და
თავის სიტყვაში თქვა: — რუსთაველის თეატ-
რის დღევანდელ გასტროლებს განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ,
რომ თეატრი დიდი ხანია არ ყოფილა მოსკოვ-
ში, არამედ იმიტომაც, რომ დღეს რუსთაველის
თეატრი ჩამოვიდა სრულიად განახლებული,
თითქმის ახალი შემადგენლობით და ჩვენთვის
ახალი რეპერტუარით. სწორედ ამიტომ ჩვენ-
თვის დგება კითხვა — როგორია შემდეგი გზა
რუსთაველის თეატრისა? ალბათ, ეს კითხვა
აღელვებს განხილვის ყველა მონაწილეს. თე-
ატრმა აირჩია სწორი გზა, თეატრი ჩამოვიდა
მრავალჯანრობივი რეპერტუარით, რაც ადას-
ტურებს, რომ მხოლოდ ცოცხალი შემოქმედე-
ბითი პრაქტიკის საფუძველზე თეატრს შეუქ-
ლია იპოვოს ნამდვილი გზა. თეატრის მიერ
არჩეული მთავარი გზა არის გზა, გამომდინა-
რე ხალხური სიღრმიდან. იმ ნაწარმოებთა
უმეტესობა, რომლებიც დადგმულია დღეს
რუსთაველის თეატრის სცენაზე, ღრმადაა და-
კავშირებული ხალხური იუმორის, პათოსისა,
ტემპერამენტისა თუ მსოფლმხედველობის ნამ-
დვილ მარცვალთან. ამ სწორი ცდების გარეშე

შეუძლებელია ნამდვილი, კემპარიტი გზის
წოვნა. ამ ძიებას მოაქვს სხვადასხვა შედეგები,
დიდი წარმატებანი და ნაკლები წარმატებანი.
აქ მე მაგონდება, თუ როგორ მიდიოდნენ ძიე-
ჩენკო და დროთა ვითარებაში როგორ უძლვდა
დიდი წარმატება მარცხს, და როგორ მოსდევ-
და წარმატებას მარცხი, რომელიც მათთვის
უფრო მნიშვნელოვანი იყო, ზოგჯერ ვიდრე
ზერეულე წარმატება. დღეს თქვენს სპექტაკ-
ლებში მრავალი პრობლემა დგას, მაგრამ ისი-
ნა ნაკარნახევია ერთი მთავარია: — თეატრ-
მა უნდა იპოვოს თავისი გზა ხალხურ ფეს-
ვებში! ის, რომ თეატრი ხელს ჰკიდებს იგავ-
არაკებს, ინსცენირებას უკეთებს ლეგენდებს
და რომ თქვენ გაქვთ „ვეფხისტყაოსნის“ კომ-
პოზიცია, გაქვთ მისწრაფება სცენაზე განასა-
ხიეროთ თანამედროვეობა, და რომ თქვენ ძიე-
ბას აწარმოებთ სხვადასხვა ჟანრში, — ეს არის
ნამდვილი შემოქმედება.

„სიელიმის პროცესია“ არის საუკეთესო და-
დასტურება იმისა, თუ რის მიღწევა შეუძლია
რუსთაველის თეატრს. მე ჰოლანდიაში ვნახე
ეს სპექტაკლი, რომელიც ბევრად ჩამოუვარ-
დება რუსთაველის თეატრის სპექტაკლს. —
შინაგანი სრულყოფილება, არც ერთი ცარიელი
ადგილი, ცოცხალი ყოველი ფრაზა, მკვეთრია-
ხასიათები — და ყოველივე ეს გვაიძულებს დი-
დი პატივისცემით შევაფასოთ ეს სპექტაკლი.
„სიელიმის პროცესმა“ დაგვანახა, თუ რა
მწვერვალზე შეუძლია ავიდეს თეატრს, რომე-
ლიც გრძნობს სტილს, ეპოქას, დღევანდელ
მაჯისცემას. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაში
მე დავინახე ნამდვილი რუსთაველის თეატრი,
რომელიც საოცრად სრულყოფილად ფლობს
შინაგან პლასტიკას, რომელიც კიდევ ერთი ძა-
ლია თეატრისა.

რუსთაველის თეატრის წინაშე გადაშლი-
ლია დიდი და ფართო გზა, — გზა ძიებისა,
როდესაც ტრადიციული მარცვლი რუსთავე-
ლის თეატრს შეუძლია ბედნიერად ჩათვალოს
ძიებათა ის გზა, რომელზედაც იგი დგას.

რუსთაველის სახელობის თეატრს ვიცნობ
ათეული წლების მანძილზე, წილად მხვდა



ბედნიერება ამ თეატრის ბევრი სპექტაკლი მე-
ნახა, — ასე დაიწყო სიტყვა რსფსრ ხელოვნე-
ზის დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა
ი. რავესკიმ; — დღეს მე ვილაპარაკებ ოთხ
სპექტაკლზე: — „ბებერა მეზურნეები“, „სე-
ილემის პროცესი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და
„მზიანი ღამე“. არაჩვეულებრივად, პარმონიუ-
ლად იხსნება თეატრის სახე ამ ოთხ სპექტაკლ-
შიც, მთავარი თემა, რომელსაც ატარებს
თეატრი; ეს არის თემა ადამიანისა, თემა კე-
თილშობილებისა, თემა ჭეშმარიტების ძა-
ებისა.

„ბებერ მეზურნეებში“ ყველაფერი გაპოე-
ტურებულია და სწორედ ამაშია სპექტაკლის
დამდგმელის არჩ. ჩხარტიშვილის და შემსრუ-
ლებლების; რ. ჩხიკვაძის, ბ. ზაქარაძის, კ. სა-
კანდელიძის გამარჯვება, რომლებმაც სახის
გახსნის მეტად რთული გზით შესძლეს მე-
ტად ცოცხალი სახეების შექმნა, ისეთი სახე-
ების შექმნა, რომლებიც შეიკარგება პირ-
ველსავე წუთიდან და მთელ საყარამს მათთან
ერთად ხარ. მათ პოეტურად განასახიერეს პო-
ეტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, —
ცხოვრება არის მშვენიერი და როდესაც ანა-
თებს მზე, სხვა არაფერია საჭირო!

მოქალაქეობის, მორალური სიწმინდის,
სადაც არ შეიძლება იყოს კომპრომისი, — შე-
იძლება მოკვდეთ. მაგრამ დიდი და წმინდა გუ-
ლით, — აი ის ძირითადი სახე, რომელიც გას-
დევს რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს.

რუსთაველის თეატრს ჰყავს ძარღვიანი
უფროსი თაობა, ნიჭიერი და გამოცდილი სა-
შუალო თაობა, პოეტური ახალგაზრდობა, რომ-
ელთაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ
რუსთაველის თეატრი იზრდება, ფართოვდება,
მდიდრდება და მიდის დიდი საინტერესო
გზით.

საკასტროლო სპექტაკლების თეატრალურ
მხატვრობაზე ილაპარაკა ხელოვნებათმცოდნე
ელ. ლუცკაიამ, რომელმაც განიხილა სპექტაკ-
ლების მხატვრული გაფორმება, აღნიშნა მიღ-
წევები „ვეფხისტყაოსნის“, „სეილემის პრო-
ცესის“. „სიბრძნე სიცრუისა“ დადგმაში და
შეჩერდა ზოგიერთი სპექტაკლის წაკლოვან
მხარებზეც. დაასრულა რა თავისი გამოსვლა,
ელ. ლუცკაიამ თქვა: — რუსთაველის თეატრის
სახელთან დაკავშირებულია ბევრი ცნობილი
თეატრალური მხატვრის სახელი; დღევანდელი
ახალგაზრდა თეატრალური მხატვრები უნდა
აღიზარდნენ მათ ტრადიციებზე ისე, რომ თა-

ღიანთი შემოქმედების ხარისხითა და ინდივიდუ-
ალური მანერით მაღწიონ იმ უმაღლეს
დონეს, რომლითაც ხასიათდებოდა რუსთავე-
ლის თეატრის თეატრალურ მხატვართა შემოქ-
მედება.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ხელოვნებათ-
მცოდნეობის დოქტორი ი. დიმიტრივევა: —
შ. რუსთაველის სახელობის თეატრს ყოველ-
თვის ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა
თეატრის განვითარებაში. რა განახეთ ახალა
ამჟერად თეატრში? პირველი — ახალი აქტა-
ორებისა და რეჟისორების დიდი რაოდენობა.
ბევრი მათგანი ნიჭიერია, ბევრიც ძალზე ნი-
ჭიერი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ
თეატრი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს
ეროვნულ ნიადაგზე წყვეტს.

განხილვისას ორატორი შეეხო საკასტრო-
ლო სპექტაკლებს და ყურადღება შეაჩერა
გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაკა“-ზე (დადგმა
ბ. თუმანიშვილისა). „ჭინჭრაკა“-ში პაროზი-
თობისა და ცხოვრებისეული სიმართლის შე-
ერთება ჭეშმარიტებად აღეაყვანა. მასწი-
ცხედავთ ზღაპრული სიუჟეტის სწორ გადა-
წყვეტას. ეს წარმოდგენა იმის ნიმუშია, თუ
როგორ უნდა იქნას გათამაშებული ზღაპარი.

დაასრულა რა გამოსვლა, ი. დიმიტრივევა
თქვა: — რუსთაველის თეატრმა დაგვანახვა,
რომ შეუძლია წინ წამოსწიოს მთავარი პრობ-
ლემები, ფილოსოფიური საკითხები და სწო-
რად გადაჭრას ისინი.

მღელვარე, საინტერესო სიტყვით გამოვი-
და მოსკოვის სატირის თეატრის მთავარი რე-
ჟისორი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. პლუ-
ჩეკი: — რუსთაველის თეატრის უკანასკნელა
გასტროლები მოსკოვში წარმოადგენს არა
მხოლოდ შემოქმედებით მოვლენას თეატრას
ცხოვრებაში ანდა ცნობილ ფაქტს თეატრალურ
მოსკოვისას, არამედ იგი წარმოადგენს კიდევ
მნიშვნელოვან მოვლენას საბჭოთა კავშირის
მრავალეროვანი თეატრის ცხოვრებაში.

ყოველ თეატრს აქვს თავისი გარკვეული
სახე. ახლა ჩვენ საშუალება მოგვცა გავვეცნო
რუსთაველის თეატრის სახე დიდი საუზნის
შემდეგ, როგორია ეს სახე? მეტად სამწუხა-
როა ხოლმე, როდესაც ეცნობი მოსკოვის ბევ-
რი თეატრისა თუ თეატრების სახეს, რომელ-
თაც მსოფლიო სახელი აქვთ, და ხედავ ნაო-
კებს, მოღუნებას, დაძმობას, სევდის განც-
დას, რაც გაფიქრებინებს — ხომ არ დაბერდა
შენი საყვარელი სახე? და ყველაზე სასიხარუ-

ლო და სასიამოვნოა, რომ მე დავინახე რუსთა-
ველის თეატრში ახალგაზრდობა, სიჭა-
ბუკე თანამედროვე საბჭოთა ხელოვნებისა.
რუსთაველის თეატრი არის ჩემი თანამედრო-
ვე შემოქმედებითა და ძიებებით. იგი ჩემი თა-
ნამედროვე კიდე იმითაც, რომ ყოველი სპექ-
ტაკლი განთავისუფლებულია პროვინციალიზ-
მის შტრიხებისაგან, ყოველი სპექტაკლი გახს-
ნილია თავისი გასაღებით და საკუთარი ხელ-
წერის ბეჭედს ატარებს. ყოველ სპექტაკლში
დასმულია ახალი პრობლემა და ხდება ძიება
ახალი გამოქსახელობითი საშუალებებისა და
სწორედ ამიტომ მუდმივ ძიებებში თეატრის
სახე ინარჩუნებს ახალგაზრდობას. თეატრის
დასში არიან შესანიშნავი ოსტატები უფროსი
თაობისა, ნიჭიერი, გამოცდილი პროფესიონა-
ლები საშუალო თაობისა და შეხმატკილებუ-
ლი შესანიშნავი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რი-
მელთაც გააჩნიათ დიდი შესაძლებლობანი შე-
მოქმედებითი გამოვლინებისა.

სპექტაკლს „ბებერი მესურნეები“ — სა-
პროგრამო სპექტაკლად ვთვლი: განმაცვივრა
რეკისორულმა თავშეკავებამ ყოველგვარი
ეფექტურობისაგან; მთელი სპექტაკლი გადა-
წყვეტილია ფაქიზი ნიუანსებით. სავასტროლო
სპექტაკლების ნახვის შემდეგ ჩემს აქტიორებს
ვუთხარი — წადით, ისწავლეთ რუსთაველი-
ბისაგან, როგორ უნდა ითამაშოთ „სეილეშის
პროცესი“. მსახიობ ე. მაღალაშვილის პროქ-
ტორის სახე ნიშნავს შინაგანად მსახიობის
თავშეკავებისა. ყოველივე სდებოდა შინაკან
ძალაზე დაყრდნობით, მთელი სახე გამოქე-
წილია მეტად ძუნწად. — და სწორედ ამაშა
დიდი გამარჯვება.

არ შემიძლია მღელვარებით არ ვიღვრებო
კო სერგო ზაქარიაძეზე, ამ განსაცვივრებელ
და საყოველთაოდ ცნობილ მსახიობზე, რი-
მელმაც მოგვხიბლა ჩვენც და მთელი მსოფ-
ლიც უზრალო ჯარისკაცის როლში; მან მი-
ლიონობით ადამიანთა გულები ააჩუყა. გვებო-
ლავს მისი ადამიანობა, გულითალობა, ცო-
ცხალი შეგრძნება ხალხური ხასიათისა... და
ლირშიც სერგო ზაქარიაძემ კიდე ერთხელ ვა-
მოაფლინა თავისი სულიერი სიმდიდრე, შინა-
განი სითბო, სიკეთე და კეთილშობილება. —
ისეთი ადამიანური სითბო, რომელმაც ააღელვა
ზევრი ჩვენთაგანი და დაგვაშასხოვრა ს. ზაქა-
რიაძის მიერ შექმნილი მეფე ლირის სახე.

ვამთავრებ რა ჩქრს ვამოსვლას, მინდა
ვთქვა: — თეატრალური ხელოვნება ბევრჯერ
„საფლავდებოდა“, მას ასაფლავებდა ხან კინი,
ხან ტელევიზია, მაგრამ ის არსებობს და კვლა-
ვაც იარსებებს. წლები მიდის, ჭეშმარიტი თე-
ატრი კი ცოცხლობს და ვითარდება. — ჭეშმა-
რიტი თეატრი, რომელშიც იხსნება ადამიანთა
შინაგანი სამყარო. რუსთაველის თეატრის
სპექტაკლებში მე დავინახე ყველაზე მთავარი
და ძვირფასი. მე რომ არ ვიცნობდე საქართ-
ველოს და ქართველ ერს, ამ სპექტაკლებით
შევიცვარებდი ამ ხალხს, ისე აქედრდა ამ სპექ-
ტაკლებში ერის სული, მისწრაფება სიმართ-
ლისადმი, პოეზია და დიდი მგზნებარე გული.

განხილვის დასასრულს დამსწრე საზოგა-
დობას მადლობა გადაუხადა საქართველოს
სსრ სახალხო არტისტმა რუსთაველის თეატრ-
ის სამხატვრო ხელმძღვანელმა არჩილ ჩხარ-
ტიშვილმა.

არიან აღამიანები, რომლებსათვისაც ზრუნვა ახალგაზრდობისათვის განუსყრელ თანდაყოლილ ბუნებას წარმოადგენს. სწორედ ასეთი იყო ქართული საბჭოთა თეატრალური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ფალავა, რომლის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა.

საქართველოში ძნელია შეხვდეთ ისეთ თეატრს, რედაქციასა თუ კულტურის სხვა დაწესებულებას, სადაც პროფესორ აკაკი ფალავას მიერ აღზრდილი არ მოღვაწეობდეს. თავისა სასცენო-პედაგოგიური მუშაობის მანძილზე მან ჩვენს ქვეყანას ასობით სპეციალისტი გაუზარდა. დიდადი სიყვარული და პატივისცემა ამავდარი მასწავლებლისა და აღმზრდელისადმი.

აკაკი ფალავას რეჟისორულ შემოქმედებაში თავიდანვე შეინიშნებოდა მისწრაფება რეალიზმისაკენ. აქტიორთან მუშაობაში ის მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმდევარი და საქართველოში ამ თეატრის ერთ-ერთი ჰორველი პროპაგანდისტი იყო. ამას კი, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სასცენო შემოქმედებაში ახალი მეთოდის შემოტანისათვის.

მისი მოღვაწეობა არასდროს არ შემოფარგულა მარტოოდენ თეატრალური ხელოვნებით. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო თავიდანვე ფართო იყო. ამ მხრივ საკულისხმოა მის მიერ 1919 წელს დაარსებული ქართული გიმნაზია ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ბათუმში.

მაგრამ აკაკი ფალავას, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი და რა საქმისათვისაც არ უნდა მოეკიდა მას ხელი, გული მაინც თეატრისაკენ ექცეოდა.

ქართულ თეატრში მისი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ 1920 წელს დრამატული საზოგადოების გამგეობამ მას დაქსაქსული ქართველი მსახიობების შეგროვება და მათგან დასის შედგენა დაავალა. ამ დასის სამხატვრო ხელმძღვანელობა და მთავარი რეჟისორობა თვით აკაკი ფალავას უნდა ეკისრა. ახალგაზრდა რეჟისორმა ეს დიდი

ეროვნული საქმე მისთვის ჩვეული ენერგიით განახორციელა.

აკაკი ფალავა განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით 1921 წელს იწყებს სათეატრო განათლების მოგვარებას რესპუბლიკაში. ქართველ მოღვაწეთა ეს სანუკვარი ოცნება განხორციელების გზას დაადგა და 1922 წ. დაარსდა ქართული დრამატული სტუდია. პედაგოგებად მოწვეულნი იყვნენ ჩვენა ცნობილი მეცნიერები და მწერლები: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ასყელედიანი, კონსტანტინე გამსახურდია. რეჟისორებად კი კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი და მიხეილ ქორელი. ამ სტუდიამ 1923 წ. მოაწყო თავისი ნამუშევრების საჯარო ჩვენება. პრესამ და თეატრალურმა საზოგადოებრიობამ მალევე შეფასება მისცეს სტუდიელთა ნამუშევრებს; ეს ერთდავადარი საწინდარი გახდა იმისა, რომ იგი იმავე წელს თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთებულიყო. 1924 წელს ინსტიტუტმა თავისი პირველი ნაკადი გამოაშუქა. კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ: აკაკი ხორავა, ვასო გომიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, თამარ წულუკიძე, პიერ კობახიძე, მალიკო მრეგლიშვილი, შოთა მანგაძე და სხვები. ეს იყო შესანიშნავი კადრი, რომელმაც განაპირობა ქართული საბჭოთა თეატრის დიდი მიღწევები.

ამას თან მოჰყვა 1926 წლის გამოშვება: გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალთაშვილი, მერი დავითაშვილი, მაკა ჯორჯაძე, ემანუილ აფხაიძე, სერგო ჭელიძე.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, აკაკი ფალავა კოტე მარჯანიშვილთან ერთად აგრძელებს რეჟისორულ მუშაობას და რუსთაველის თეატრში ახორციელებს ისეთ დადგმებს, როგორც იყო დავით კლდიაშვილის „უბედურება“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“, ფულდის „ვირის ჩრდილი“, შექპინირის „ჰამლეტი“ და სხვა.

აკაკი ფალავამ დავით კლდიაშვილის პიესები გახსნა, როგორც სოციალური დრამა. დავით კლდიაშვილი მადლობით შენიშნავდა: „განსაკუთრებული სიყვარულით გამითობ ჩემი

პიესები, გამიცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფა-
ლაგამ. ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა
თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას,
არასდროს არ დაჰკლებია იგი და ამიტომაც
ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიე-
რად გავლილ გზად მიმართა“.

1927 წელს პირველად საქართველოში აკა-
კი ფაღავამ საკუთარი თარგმანით ბათუმის თე-
ატრში წარმოადგინა ბ. ლაგერენვის „რღვევა“.
პიესა „იერიშის“ სახელწოდებით მიდიოდა. ეს
სპექტაკლი აჭარის ქართული დრამის დღესას-
წაულად იქცა. იგი ბათუმის თეატრის ისტო-
რიაში აღინიშნა, როგორც დიდი გამარჯვება.

აკაკი ფაღავას რეჟისორულ მუშაობაში სა-
სურადადღებოა 1930 წელს თბილისის საოპერო
თეატრში განხორციელებული „აბესალომ და
ეთერის“ დადგმა. იგივე ოპერა მან 1931 წელს
უკრაინის მანჩინდელ დედაქალაქის ხარკოვის
საოპერო თეატრის სცენაზე წარმოადგინა.

აკაკი ფაღავას პედაგოგიური და რეჟისო-
რული მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებუ-
ლი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას-
თან, სადაც ის ჯერ კიდევ 1924 წელს აყალი-
ბებს საოპერო სტუდიას. აქ მიიღეს განათლება
დავით ანდღულაძემ, დავით ზადრიძემ, დიმიტ-
რი მჭედლიძემ, შალვა ცირღლაძემ, ხამაშუ-
რიძემ და სხვ.

აკაკი ფაღავას ინიციატივით შეიქმნა აგ-
რეთვე საოკელო კლასები I და IV მუსიკალურ
სასწავლებლებში.

დღეს ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ზაქა-
რია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური

ათწლიდით: მისი პირველი დირექტორი-
ფაღავა იყო. იგი წლების მანძილზე ხელმძღვა-
ნელობდა კონსერვატორიის საოპერო კლასს
და ამზადებდა საბჭოთა ქართული საოპერო
ხელოვნებისათვის კადრებს. აქ სწავლობდნენ
საოპერო ხელოვნებაში შემდგომ ისეთი ცნო-
ბილი ოსტატები, როგორც არიან: დავით გამ-
რეკელი, ნადეჟდა ხარაძე, მერი ნაკაშიძე, ბათუ-
კრავეიშვილი, გრიგოლ გრიგოლაშვილი, გივი
ყიფიანი.

ფასდაუდებელია აკაკი ფაღავას დეწლი
ქართულ თეატრალურ განათლებაში. 1933
წლიდან მრავალი წლის მანძილზე იგი თეატ-
რალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგი-
ლეა სასწავლო-სამეცნიერო დარგში. ამასთანა-
ვად ამავე ინსტიტუტში იგი ბოლო დრომდე
განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და
უცვლელად ხელმძღვანელობდა თეატრმცოდ-
ნეობის კათედრას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აკაკი ფაღავას
დამსახურება ქართულ თეატრმცოდნეობაში.
მისი ნაშრომები: მონოგრაფიები, ლიბრეტოე-
ბი, თარგმანები — ამდიდრებენ ქართული თე-
ატრის ისტორიას. თბილისის ოპერის თეატრის
სცენაზე 1946 წელს დაიდგა შ. მშველიძის
ოპერა „ამბავი ტარიელისა“: ამ შესანიშნავი
ფაქტის დიდი მონაწილე იყო აკაკი ფაღავა,
რომელმაც შექმნა ლიბრეტო ოპერისათვის.

საქართველოს სახალხო არტისტის აკაკი
ფაღავასათვის ახალგაზრდობის მადლიერება
ყოველთვის იყო და იქნება მისი სახელის უკუ-
დაცოფის თავდები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ხუთჯობის ლაურეატი მიხეილ ჭიაურელი დღევანდელი ჩვენი თაობისთვის ცნობილია როგორც გამოჩენილი კინორეჟისორი. კინოში მოღვაწეობა მან დაიწყო 1921 წელს. ითამაშა არსენას მთავარი როლი პირველ საბჭოთა ქართულ ფილმში „არსენა ჯორჯიაშვილი“. ამრიგად, მიხეილ ჭიაურელს კინოს ისტორიაში დაემკვიდრა საბჭოთა ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი; ამის შემდეგ მან დიდი წარმატებით შეასრულა ქართულ ფილმებში მთელი რიგი საინტერესო როლები, ხოლო 1927 წლიდან კინორეჟისორობას მოჰკიდა ხელი. მაღალი იდეურობით, დიდი მხატვრული სიმართლითა და გემოვნებით გამოირჩევა მიხეილ ჭიაურელის მიერ შექმნილი ფილმები „საბა“, „ხაზარდა“, „უკანასკნელი მასკარადი“, „დიადი განთიადი“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „ბერლინის დაცემა“, „დაუფიწყარი 1919 წელი“, „ოთარანთ ქვრივი“ და სხვანი. დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მიხეილ ჭიაურელმა თავისი ფილმებით არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც, ხოლო ქართველ მშრომელთა გულში მან დიდი სიყვარული დაიმსახურა, რადგან თავისი ფილმებით მსოფლიოს გააცნო ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, წარსული და აწმყო.

მაგრამ მარტო კინოთი არ განისაზღვრება მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1909 წელს თხუთმეტი წლის ჭაბუკი მიხეილ ჭიაურელი პირველად გამოვიდა თბილისის სახალხო სახლის სცენაზე სცენის-მოყვარეთა წარმოდგენაში და სულ მალე დაიმკვიდრა ნიჭიერი სცენისმოყვარისა და შემდეგ პროფესიონალი მსახიობის სახელი. მიხეილ ჭიაურელი ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო და მრავალი საინტერესო სცენური სახე შექმნა. ეს ვახლდათ ბარათაშვილი ნ. შიუკაშვილის დრამაში „სულელი“, ვანო ი. გედეგანიშვილის დრამაში „მსხვერპლი“, აკოვა

ა. ცაგარლის „ხანუმაში“ და სხვანი. 1920 წელს, როდესაც დრამატულმა საზოგადოებამ თბილისში ახალი დასი შექმნა, მიხეილ ჭიაურელი ამ დასში იყო მიწვეული და არა ერთი როლი ითამაშა. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისა (ი. გედეგანიშვილის „მსხვერპლი“), მეფე ლუარსაბი (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“), ბერდო (ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“), ავეტიკა (ა. ცაგარლის „რაკ ცინასაეს, ველარ ნახაეს“).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიხეილ ჭიაურელმა დაიწყო რეჟისორული მოღვაწეობა. 1921 წლის გაზაფხულზე იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ სატირ-აგიტის თეატრს, რომელიც საბჭოთა შინაარსის ქართული თეატრის პირველი წამოწყება იყო. შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა თბილისის მუშათა თეატრს. 1920 წელს სათავეში ჩაუდგა თვითმოქმედ წრეს „კოოპეატრის“ სახელწოდებით, რომლის ნიადაგზე შემდეგში წარმოიშვა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი. მას მიხეილ ჭიაურელი 1942 წლამდე ხელმძღვანელობდა.

მიხეილ ჭიაურელმა ახალგაზრდობიდანვე გამოიჩინა ნიჭი მუსიკაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში. წარმატებით მონაწილეობდა კონცერტებში, როგორც მომღერალი. მისი გონება-მახვილური კარიკატურები ამშვენებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მან შექმნა მრავალი საინტერესო ქანდაკება, ხოლო განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის ქანდაკება, რომელიც მიხეილ ჭიაურელმა 1925 წელს შეასრულა.

ეს ნიჭიერება და გამოცდილება ხელოვნების თითქმის ყველა დარგში მან კინოხელოვნებას მოახმარა და ამიტომაც არის მისი ფილმები ეგზომ ბრწყინვალე და მხატვრული გემოვნებით აღსავსე.

მადლობა დიდ შემოქმედს მიხეილ ჭიაურელს იმისათვის, რომ მან ასე უხვად მიუძღვნა ხალხს თავისი ოსტატობა.

საგვომთა კავშირისა და ჩხოსლოვაკიის თეატრალურ
მოღვაწეთა სიამოწიში

მოსკოვში, 1966 წლის დეკემბერში, ჩატარდა ჩეხური დრამატურგიის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 63 თეატრი.

20 დეკემბერს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყეს საბჭოთა სცენაზე ჩეხური დრამატურგიის დათვალეირებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნეები: ლ. სოლნცევა და ლ. ჟუკოვა.

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების კონფერენციას ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის ხელოვნების მოღვაწეები.

დათვალეირების შედეგებზე თავისი შთაბეჭდილებებით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. გორაჩეკი.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრკ კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსი პ. ტარასოვი, რეჟისორები — გ. სოკოლოვი (რიაზანის თეატრი), ვ. პანსო (ესტონეთის თეატრი) და სსრკ სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე.

შემდეგ დათვალეირების ჟიურის თავმჯდომარემ სსრკ სახ. არტისტმა მ. ცარიოვმა გამოაქვეყნა ჟიურის ვადამწვეტილება.

პრემიები მიენიჭათ რეჟისორული ნამუშევრებისათვის: გ. სოკოლოვს — პ. კარვანის პიესის „ნათელი ღამის“ დადგმისათვის რიაზანის საოლქო დრამატულ თეატრში — 400 მანეთი.

ა. კაცს და ბ. ლუცენკოს — ი. დრდის პიესის „დავიწყებული ეშმაკის“ დადგმისათვის რივის რუსული დრამის თეატრში — 200 მანეთი.

ვ. პანსოს — პ. კოპოუტის პიესის „80 დღე მსოფლიოს გარშემო“ დადგმისათვის ტალინის მოზარდ მსაქურბელთა თეატრში — 200 მანეთი.

ა. ილვოსკის — თ. სეკორის პიესის „ხოჭო ფუტლიკისა და ჭიანჭველა ფედრის თავგადასავლის“ დადგმისათვის კალინინსკის თოჯინების თეატრში.

აქტივობისათვის მუშაობისათვის (თვითელს 200 მან. რაოდენობით).

ვ. ანჯაფარიძეს — დედის როლის შესრულებისათვის კ. ჩაპეკის პიესაში „დედა“. მარჯანიშვილის სახ. თეატრში.

ლ. სუხარევსკაიას — დედის როლის შესრულებისათვის კ. ჩაპეკის პიესაში „დედა“ მოსკოვის დრამის თეატრში.

ნ. გულიაევას — პეტრეს როლის შესრულებისათვის პ. კოპოუტის პიესაში „სახლი, რომელშიაც ჩვენ დავიბადეთ“ მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

ვ. ულიკს — ლიბუმას როლის შესრულებისათვის ყაზანის დრამატულ თეატრის სპექტაკლში „სახლი, რომელშიაც ჩვენ დავიბადეთ“.

ტ. ლანკინს — მარშალის როლის შესრულებისათვის კ. ჩაპეკის პიესაში „თეთრი ავადმყოფობა“ პეტროზავოდსკის ფინურ თეატრში;

დ. დიაჩკოვს — ოცი წლის ახალგაზრდის როლის შესრულებისათვის ვ. ბლაჟეკის პიესაში „გულუხვი საღამო“ ლენინგრადის ლენსოვეტის თეატრში.

ა. კირილოვს — ბრეკვერის როლის შესრულებისათვის რიაზანის საოლქო დრამათეატრის სპექტაკლში „ნათელი ღამე“.

შ. ვაბელაიას — შვიკის როლის შესრულებისათვის ი. პაშეკის პიესაში „გულადი ჯარისკაცი შვიკი“ — სოხუმის სახ. თეატრში;

გ. ზიბერს — მატეის როლის შესრულებისათვის ი. დრდის პიესაში „დავიწყებული ეშმაკი“ ნოვოსიბირსკის თეატრში «красный факел».

პრემია 100 მანეთის რაოდენობით მიენიჭა აგრეთვე მხატვარ ა. მერკანისას რივის რუსული დრამის თეატრის სპექტაკლში, ი. დრდის პიესა „დავიწყებული ეშმაკის“ კოსტუმების გაფორმებისათვის.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები: ს. ზაქარიაძე, მ. ჩახავა, ს. ყანჩელი, რ. ჩხიკვაძე — ა. კოპოუტის პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია“ მონაწილეობისათვის, — და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრის კოლექტივები, ცალკეულ რეჟისორები და მსახიობები.



გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, საქსახალხო არტისტის კოტე მარჯანი-

შვილის ძეგლის პროექტზე (მთაწმინდის პანთეონში).

პროგრამა და პირობები:

